განკარგულება:**g-31. 31231152**
თარიღი:**25/04/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №28

2023 წლის 25 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრს“ (ს/კ 433649359) მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, გორგასალის ქუჩა N11-ში მდებარე 1506.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ არსებული 1240.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (საცურაო აუზი) საკადასტრო კოდით (ს/კ 27.06.51.027)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი